პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით | შაბათი, 17 მაისი 1924 წ. | წელიწადი მეოთხე | ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი არმიელი

№ 500 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი | რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. სავილე ტელ. 85.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც' ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## შეიცვლება თუ არა საფრანგეთის პოლიტიკა.

საფრანგეთის საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე ლაპარაკობს დღეს ევროპა-ამერიკის პრესა. ასე სვამენ საკითხს: შეიცვლება თუ არა პუანკარე-მილიერანის პოლიტიკა მემარცხენე ბლოკის გამარჯვების გამო, როგორ ცვლილებებს შეიტანს ახალი მთავრობა საფრანგეთის საერთო პოლიტიკაში, კერძოთ კი საგარეო პოლიტიკაში?

მრავალი გაზეთები, როგორც მაგალითათ ინგლისური „ტაიმსი“, ფრანგული „ტანი“ და რომოდენიმედ გერმანული გაზეთებიც იმ აზრის არიან, რომ დიდი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის, რომ ახალ მთავრობას მოუხდება პუანკარეს პოლიტიკის გაგრძელება.

საკითხის ასეთი გაშუქება შემცდარია, რომ ახალი მთავრობა სულ სხვა გზით წაიყვანს საფრანგეთის საგარეო პოლიტიკას, ცხადია საფრანგეთის ამომრჩევლებმა დაგმეს პუანკარეს გაკოტრებული პოლიტიკა და ეს გარემოება გვეუბნება, რომ საფრანგეთის პოლიტიკა უთუოდ შეიცვლება.

როგორი ცვლილებებია მოსალოდნელი? პირველად ყოვლისა საფრანგეთის ახალი მთავრობა დაიწყებს საქმიან მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირთან და იცნობს მას. ამის თავდებია რადიკალ-სოციალისტების ლიდერის ერიოს კანდიდატურა პრემიერის თანამდებობაზე. ერიო მუდამ მომხრე იყო საბჭოთა კავშირის ცნობის და მასთან ნორმალურ ურთიერთობის აღდგენის. ის პარლამენტში გამოდიოდა ამ მოთხოვნით. და ცხადია, როცა ის პრემიერ მინისტრი გახდება, დაუყონებლივ იცნობს საბჭოთა კავშირს. ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე სენატორ დე-მონზის განცხადება, რომ საბჭოთა კავშირი მოკლე ხანში იქნება ცნობილი და მოლაპარაკება ორ კვირაში დაიწყება. დე-მონზი გამოხატავს რადიკალების აზრს და მის განცხადებას უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.

შეიცვლება აგრეთვე საფრანგეთის დამოკიდებულება წვრილ სახელმწიფოებთან, როგორც არიან პოლონეთი და რუმინია, ეს სახელმწიფოები დღემდის ვასალურ დამოკიდებულებაში იყვნენ საფრანგეთთან. პუანკარე აღნიშნულ სახელმწიფოებს იმპერიალისტური მადის მ საზრდოებელი იყო. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამზადებდა პუანკარე იმათ.

საფრანგეთის ახალი მთავრობა ხელს აიღებს ასეთ პოლიტიკაზე. ის საბჭოთა კავშირის ცნობასთან ერთად უარს ეტყვის თავის ყოფილ ვასალებს დახმარებაზე.

ამით პოლონეთის და რუმინეთის მილიტარიზმის ზრდა შენელდება და ისინი სულ სხვა გვარად დაიწყებენ ლაპარაკს საბჭოთა კავშირთან ვიდრე დღემდე ლაპარაკობდენ აგრეთვე პუანკარეს დამარცხება ხელს გაუშლის ყველა იმ სახელმწიფოებს, რომლებიც მის ტერორ ქვეშ იმყოფებოდენ (მაგ. ჩინეთი) და ისინი ყოველგვარ ძალდატანების გარეშე დაიწყებენ ჩვენთან მშვიდობიან მოლაპარაკებას.

ახალი მთავრობა დატოვებს რურს.

რადიკალური ბურჟუაზია ხედავს, რომ რურის ავანტიურამ მას არაფერი შემატა, გერმანიიდან სარეპარაციო გადასახადების მიღება ამ გზით არ შეიძლება. ამისათვის ის დასცლის რურს და გერმნიას მეტ თავისუფლებას მისცემს სარეპარაციო გადასახადების მოგვარებაში.

საფრანგეთს სათავეში უდგება საქმიანი და ანგარიშიანი ბურჟუაზია. ჯერ-ჯერობით შეუძლებელია სავსებით გათვალისწინება ყველა იმ შედეგებისა, რომელსაც გამოიწვევს საფრანგეთში მომხდარი ცვლილებები. მაგრამ, რომ პუანკარე-მილიერანის ავაზაკური პოლიტიკა საგრძნობლად შეიცვლება, ეჭვს გარეშეა.

## ქრონიკა

**ამიერ-კავკასიის ორგანიზაციათა მე-3 ყრილობის დასრულების გამო.**

ერთი კვირის წინეთ დასრულდა მთელ საბჭოთა კავშირში რესპუბლიკანურ მასშტაბით კომუნისტურ პარტიების ყრილობები. აქაც, ამიერ კავკასიის კომ ორგანიზაციათა მე-3 ყრილობას წინ უძღოდა საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის კომ-პარტიების ყრილობები. როგორც ეს უკანასკნელი, ისე რესპუბლიკანურ პარტიების ყრილობები ჩატარებულ იქმნა სრულ მთლიანობის ნიშნის ქვეშ. უმთავრესი ყურადღება მიექცა იმ საკითხებს, რომლებიც უკვე მომწიფებულია და მოითხოვდენ პარტიის უმაღლეს ორგანოს ყრილობის ავტორიტეტიულ გადაწყვეტას. ასეთები იყო: მუშაობა ახალგაზრდობაში, კოოპერაციის და შინა-ვაჭრობის საქმე. ეს საკითხები საბოლოო ჩამოყალიბებას მიიღებენ საკავშირო ყრილობაზე.

უკეთებს რა ჯამს ყრილობის მუშაობას, გაზეთი „ზარ. ვოსტ“. დასძენს.

„ამიერ-კავკასიის საგანგ. კომისიების მოხსენებებმა ნათლად დაგვანახვა ის განუზომელი მუშაობა, რომელიც გაუწევია ამ.-კავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს. ყრილობამ დაადგინა სერიოზული ყურადღება მიექცეს სოფელს, ახალგაზრდობას, ქალთა მოძრაობას, რაიონულ და უჯრედების მუშაობის გაუმჯობესებას, პარტ-აპარატების გაძლიერებას და პროპაგანდა-აგიტაციის რაციონალურად გამოყენებას. ეს დაედება საფუძვლად ახალ კ. პ. ამიერ-კავკასიის კომიტეტის მომავალ მუშაობას.

ჩვენ გვჯერა, რომ კ. პ. ახალი ამიერ-კავკასიის კომიტეტი ურყევლად გაატარებს ყრილობის დადგენილებებს ცხოვრებაში.

სალამი ჩვენს პარტიას!

## რადიო-დეპეშები

— დოლიჩში კვლავ მოხდა კომუნისტების და ფაშისტებს შორის შეტაკება.

— კომინტერნმა მოწოდება გამოუშვა საფრანგეთის მიერ სირიის ექსპლოატაციის გამო.

— „გერმანიის დღეების“ მოწყობა აკრძალული იქნა ბერლინში და ბრესლავლში.

— ფინეთში მთავრობამ აკრძალა საარჩევნო აგიტაციის წარმოება სეიმის სოციალისტურმა ფრაქციამ ამის წინააღმდეგ გამოუშვა მუშებისადმი მოწოდება.

— ბალტიის ფლოტის 5 წლის თავი დიდი ზეიმით იქნა გადახდილი.

აკმოლინქის მაზრაში დიდი შიმშილობაა.

— ნიკოლაევში შვეციიდან მოსულ გემზე, მეზღვაურთა ექსპლოატაციის გამო გამოცხადდა გაფიცვა. მეზღვაურთა მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული იქნა.

## საბჭოთა კავშირი.

**ამხ. კამენევის მოხსენება პარტიის მოსკოვის საგუბერნიო კონფერენციაზე.**

პარტიის მოსკოვის საგუბერნიო კონფერენციაზე ამხ. კამენევმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ბურჟუაზიამ, რომ შეინარჩუნოს ექსპლოატაციის უფლება მუშათა კლასზე, ძველი მმართველობის ფორმათა დამოცხებით შემდეგ, მიმართა ფაშისტური მუშტის დიქტატურას. მიუშვა რა ხელისუფლებამდე მეორე ინტერნაციონალი, მას სურს მუშათა კლასის მართვა მისი აპარატის საშუალებით, რის საუკეთესო მაგალითად ჩაითვლება ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია.

მეორე ინტერნაციონალის და კომინტერნის ბრძოლით განისაზღვრება კაცობრიობის მთელი მომავალი. ეს ყველაზე უფრო მეტად ასწავლის და ზრდის მასებს.

ამ უკანასკნელ ხანებში ყველა სახელმწიფოებში მომხდარ არჩევნებმა დაამტკიცა, რომ მემარჯვენე ფრთის გაძლიერებასთან ერთად იზრდება კომპარტიის ძალებიც, რაც იმ მდგომარეობის მიზეზად უნდა ჩაითვალოს, რომ ბურჟუაზიის დიქტატურისადმი მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის დაპირდაპირება შეიძლება.

**ჩვენ არ დავსთმობთ ოქტომბრის არც ერთ მონაპოვართაგანს.**

მომხსენებელი შეეხო რა უკანასკნელად გერმანიაში მომხდარ ამბებს, აღნიშნავს, რომ თვით დიდათ მეგობრული ხელშეკრულებანი კაპიტალისტურ ქვეყნებთან არ იძლევიან არავითარ გარანტიას მსგავსი გართულებათა თავიდან ასაცილებლად. ეს ხელშეკრულებანი ძლიერი არიან იმდენად, რამდენადაც უზრუნველყოფენ ურთი-ერთ სარგებლიანობას.

ინგლისთან მოლაპარაკების დაწყების დროს, ჩვენ არ დაგვიმალავს ბურჟუაზიისაგან, რომ არც ერთი ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარის დათმობა არ შეგვეძლო და ჩვენ ვმართავდით მოლაპარაკებას, როგორც თანასწორ-უფლებიანი მხარენი.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ეს მოლაპარაკება სასურველ შედეგებამდე მიგვიყვანს.

საბჭოთა—რუმინეთის მოლაპარაკების შესახებ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ჩვენ უნდა გვესარგებლა ამ მოლაპარაკებით, რათა გაგვეხსენებია კაპიტალისტურ ქვეყნებისათვის, რომ გაძლიერებული საბჭ. ს. რ. კავშირი აღარ წარმოადგენს ისეთ სახელმწიფოს, რომელთანაც შესაძლებელია ხუმრობა, ეს ესმოდა რუმინის და ესმის ეხლა გერმანიასაც.

**კოოპერაცია**

მოსკოვის საგუბერნიო პარტკონფერენციაზე გაკეთებულ მოხსენებაში ამხ. ზელინსკიმ აღნიშნა, რომ სახელმძღვანელო ცენტრები სასოფლო სამეურნეო და ნაჭრობითი სამრეწველო კოოპერაციისა იმყოფება პარტიის ხელში.

ქალაქებში კოპერატივების გამგეობაში ორი მესამედი კომუნისტები არიან, ხოლო ერთი მესამედი კი უპარტიონი. უფრო ცუდათ არის საქმე გლეხთა კოოპერტივებში სადაც 20 პროც. შეადგენ კომუნისტები და 80 პროც. კი უპარტიონი. გამოანგარიშებულია რომ მუშა მთელ თავის ბიუჯეტის 70 პროც. ახმარს სანოვაგეს, ტანსაცმელს თამბაქოს და სხვა. მომხმარებელი კოოპერაცია საერთოდ ჰანთქავს მუშების ბიუდჯეტის ნ ხევარზე მეტს.

ჩვენი ამოცანაა, რომ მთელი 70 პროც, მუშის ბიუდჯეტისას მუშა რეალიზაციას უკეთებდეს თავისი კოოპერაციის საშვალებით. კოოპერაცია უნდა ემსახურებოდეს მუშათა კლასის სასიცოცხლო ინტერესებს და აძლევდეს მას ყველა საჭირო საგნებს უფრო გაცილებით იაფ ფასებში ვიდრე კერძო მოვაჭრე.

გლეხთა კოოპერაციის წინაშე სდგას ამოცანა მიაღწიოს იმას, რომ მთელი ზედმეტი პროდუქტები გლეხის მეურნეობისა გადიოდეს გლეხთა სასოფლო სამეურნეო და მომხმარებელ კოოპერაციის საშვალებით ბაზარზე. კოოპერაცია სოფლად უნდა გადაიქცეს კულტურულ ცენტრად, რომელიც ასწევს გლეხის მეურნეობას თავისი განვითარების მაღალ საფეხურამდე.

ამ ჟამად პროვინციაში კერძო ვაჭრობის და ბაზრის ხელში იყრის თავს განსხვავებას 90 პროც. კოოპერაციის წინაშე დასმულია ამოცანა ხელში ჩაიგდოს წვრილი და მსხვილი საბითუმო ვაჭრობა.

**საბჭოთა აპარატი.**

გადადის რა სახელმწიფოებრივ და სამეურნეო აპარატების საკითხზე ამხ. ზელინსკიმ აღნიშნა, რომ პარტიამ ყველგან უნდა შექმნას იაჩეიკები, რომ ჩატარებული იქნეს პროლეტარული და კომუნისტური პოლიტიკა. საჭირო არის საბჭოთა აპარატის განმტკიცება სოფლად ჩვენი პარტიის თანამგრძნობ გლეხების შიგ ჩათრევით.

**ბრძოლა პროსტიტუციის წინააღმდეგ.**

პროსტიტუციასთან მებრძოლ ცენტრალურმა საბჭომ დაადგინა მიმართოს შინაგან საქმეთა კომისარიატს რათა უკანასკნელმა გადასდოს მოსკოვის შრომის ბირჟის განკარგულებაში დამატებით საშელავათოთ თანხა უმუშევრად დარჩენილ მუშა ქალებისათვის სახელოსნოების მოწყობის მიზნით.

**საჭიროა სასკოლო ქსნეულის შენარჩუნებისათვის ბრძოლა.**

სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ განკარგულებით მიმართა ადგილებს არა

ვითარ შემთხვევაში არ დაუშვან სასკოლო ქსელის შემკირება და ამნაირად პედაგოგიური პერსონალის მასიურად სამსახურიდან დათხოვა.

**ბალტიის ფლოტის ხუთი წლის თავი.**

15 მაისს შესდგა ბალტიის წითელი ფლოტის 5 წლის თავის საზეიმო დღესასწაული. ცეკას წევრი ამხ. პავლოვიჩი ს. ს. რ. კ. ცეკას სახელით ესალმება წითელ მეზღვაურებს და ცაკის სახელით კრეისერ „ავრორის" გადასცა წითელი დროშა.

ლენინგრადის საგუბერნიო პროფსაბჭოს სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოდის ამხ. ტიუშინი. ახკომკავშირის ცეკას სახელით ბელოუსოვი, ბალფლოტის რევსამხსაბჭოს სახელით ვიქტოროვი და კრონშტადტის წითელ არმიელების სახელით ამხ, ვიდმანი.

**საბჭოთა გემების გაძლიერებული შეკეთება.**

სატრანსპორტო ორგანიზაციებმა გააძლიერეს საბჭოთა გემების შეკეთების წარმოება.

**ჯალათის დახვრეტა.**

რევტრიბუნალმა სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ყოფილ მეფის სასახლის მცველ ვადეცკის, რომელმაც საშინლად აწამა მუშები მისი მურმანიის გზის „ოხრანკის" უფროსად ყოფნის დროს და შემდეგ დამალა თავისი წარსული.

**შიმშილობა აკმოლინკის ოლქში.**

აკმოლინკის ოლქში—დიდი შიმშილობაა. შესდგა დამშეულთა დამხმარე კომისია.

**შვეციის მეზღვაურთა გაფიცვა.**

შვეციიდან მოსულ გემზე მეზღვაურთა დაუზოგავი ექსპლოატაციის გამო, გამოცხადდა გემის მეზღვაურთა გაფიცვა.

ნავთსადგურის ბიუროს საქმეში ჩარევის შემდეგ გემის უფროსმა მიიღო მეზღვაურთა პირობები.

# ჩვენ და ისინი.

**გერმანიის მოქალაქეთა საქმეები.**

საბჭოთა კავშირის კომისართა საბჭომ დაადგინა, რომ საბჭოთა-გერმანიის კონფლიქტის გამორკვევამდე არ იქნეს გარჩეული არც ერთი საკასაციო საქმეები, რომლებიც ეხებიან გერმანიის მოქალაქეთ.

## ამერიკა და ს. ს. ს. რ.

**სარწმუნო წყარო.**

დოგერტის საქმის გამოძიების დროს გამოირკვა, რომ ინფორმაცია, რომლითაც ხელმძღვანელობდა იუზი ს. ს. ს. რ. წინააღმდეგ, მთლიანად ეყრონობოდა საიდუმლო პოლიციის აგენტის ცნობებზე. ეს აგენტი 1923 წ. ყოფილა გაგზავნილი ს. ს. ს. რ. გამოსარკვევად საკითხისა, არსებობს თუ არა კავშირი კომინტერნის და ამერიკის მუშათა პარტიის შორის.

## ამერიკა, ჩინეთი და ს. ს. ს. რ

**ყუმბარა აფეთქდა.**

„იუმანიტე პრეს"-ი აქვეყნებს ვაშინგტონიდაა მიღებულ დეპეშას, რომელშიაც ნათქვამია, რომ ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები ჩაერიენ საბჭოთა-ჩინეთის მოლაპარაკების საქმეში იმ განზრახვით, რომ გაეფრთხილებიათ ჩინეთი, რომ ს. ს. ს. რ. ცნობა გამოიწვევდა მისთვის არასასურველ შედეგებს. შეერთებული შტატების ჩარევა გამოწვეულია სურვილით უზრუნველეყოთ ამერიკის პრეტენზია, რომელიც აღწევს 8 მილიონ დოლარამდე, და რაც აღნიშნავს ამერიკის წილს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის რეორგანიზაციაში მონაწილეობის მიღებისათვის.

დეპეშამ დიდი აღელვება გამოიწვია პეკინში. მთავრობამ მოსთხოვა ამერიკას ახსნა-განმარტება.

## საბერძნეთი და ს. ს. ს. რ.

**ემიგრანტებისათვის საბერძნეთით გზა გახსნილია.**

საბერძნეთის მთავრობა შავი ზღვის სანაოსნოს აცნობებს, რომ ყველა ემიგრანტებს სსსრ. მიმავალს ამერიკაში თუ სხვა ქვეყნებში შეუძლიათ თავისუფლად იმოგზაურონ საბერძნეთით. ემიგრანტები გადმოისხმებიან უვიზოთ პირეის ნაპირზე. მომავალში ემიგრანტები გაემგზავრებიან პირდაპირ პირეიაში და არა კონსტანტინოპოლში.

**ამ. იოფეს ჩამოსვლა ვარშავით.**

მოსკოვში მიმავალ ამხ. იოფემ გამოიარა ვარშავში.

# ბურჟუაზიულ ქვეყნებში

**„გერმანიის დღეები" აკრძალული.**

აკრძალულია „გერმანიის დღეების" მოწყობა ბერლინში და ბრესლავში.

**კმაყოფილნი არიან დადგენილებით.**

საქსონიის ლანდტაგმა უარყო კომუნისტების წინადადება სოციალ დემოკრატების შინაგან საქმეთა მინისტრისათვის უნდობლობის გამოცხადებაზე 1 მაისის დემონსტრაციის შევიწროების გამო.

**კომუნისტების და ფაშისტების შეტაკება.**

დოლიჩში კომუნისტების შეტაკება და ფაშისტების მოხდა. მოკლულია ერთი ფაშისტი და ორივე მხრივ ბევრია დაჭრილი.

## გერმანია და პოლონეთი.

**პოლონეთის გაოცება.**

გერმანიის ნოტაზე პოლონეთის სილეზიაში ნემცების დევნის შესახებ. პოლონეთის მთავრობა გამოსთქვამს თავის გაოცებას და აცხადებს, რომ სიცოცხლეს და ქონებას გერმანიის მოქალაქეთა არავითარი საფრთხე არ მოელის.

**პროტესტი.**

ბუნდას გაზეთი „ფოლკს-ცეიტუნგი" პროფ. კავშირის ც. კ. დადგენილების წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს. დადგენილებაში ნათქვამია რეპრესიული ზომების მიღება იმ პროფკავშირების წინააღმდეგ, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდენ 1 მაისს კომუნისტურ დემონსტრაციებში. გაზეთი აღნიშნავს, რომ ასეთ დადგენილებამ განხეთქილება გამოიწვია პროფ. მოძრაობაში.

## საფრანგეთი.

**კომინტერნის პროტესტი.**

კომინტერნის აღმასკომა საპროტესტო მოწოდება გამოუშვა საფრანგეთის მიერ სირიის ექსპლოატაციის წინააღმდეგ, მოწოდებაში ხაზ გასმულია, რომ კომინტერნი და მისი საფრანგეთის სექცია სირიელების მხარეზეა საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

## ფინლიანდია.

**საარჩევრო აგიტაციის აკრძალვა.**

სეიმის სოციალისტური ფრაქცია ამომრჩევლებისადმი გამოშვებულ თვის მოწოდებაში, საარჩევნო აგიტაციის აკრძალვის გამო, აღნიშნავს, რომ მუშათა კლასმა მთავარი ბრძოლა სეიმის გარეშე უნდა აწარმოოს.

**სოციალ დემოკრატიული „სიფხიზლე."**

სოციალ-დემოკრატები მოუწოდებენ მუშებს სიფხიზლის საზოგადოების შექმნისაკენ—მიუხედავათ ასეთი საზოგადოების არსებობისა, რადგან ეს უკანასკნელი ხელში ჩაუვარდათ. კომუნისტებს.

**ხმები ახალი მთავრობის შესახებ.**

გავრცელებული ხმების თანახმად უკვე მოხდა შეთანხმება, რათა მთავრობა შესდგეს იგმანიის მეთაურობით, 4 კოალიციონერის, 4 აგრარიების 2 პროგრესისტის და ორი შვედურ პარტიის წარმომადგენლებისაგან.

# ცირკულიარი.

## რ. კ. პ ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტმა

ყველა ც. კ. და საოლქო კომიტეტებს მიმართა შემდეგი შინაარსის ცირკულიარით:

ვინაიდან 1902 წ. დაბადებულ ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა საორგანიზაციო მუშაობა ადგილებში უკვე დაიწყო, ამიტომ აგიტპროპი ა. კ. ს. კ. ამ წერილით მიაქცევს ყურადღებას, რომ სასწრაფოდ იქნეს გატარებული საგიტაციო კამპანია. კამპანიის გატარების დროს ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული შემდეგ მომენტებზე:

1. გააცნოთ მშრომელ მოსახლეობას წითელი არმიის მნიშვნელობა და მისი ამოცანები, ყოველ მხრივ გააშუქეთ შეიარაღებულ ძალის აუცილებელი საჭიროება მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს დასაცავად.

2. შექმენით საზოგადოებაში აღტკინება მობილიზაციის სასარგებლოდ და ჩაუნერგეთ რომ თავის დროზე აუცილებლად ყველა გასაწვევი გამოცხადდეს.

3. მოაწყვეთ ჯგუფობრივი და ინდივიდუალური ბაასები შემდეგ თემებზე: ა) რისთვის გვჭირია ჩვენ წითელი ჯარი და რატომ მუშა და გლეხმა უნდა გაგზავნოს თავისი შვილები წითელ ჯარში; ბ) რა გააკეთა წითელმა ჯარმა მუშებისათვის და გლეხებისათვის; როგორ უნდა ზრუნავდეს გლეხობა წითელ ჯარზე; გ) რას მოელის წითელი ჯარი მოსახლეობისაგან.

ზემოთ ჩამოთვლილი თემები გატარებულ იქნას სამკითხველო-ქოხებში, იქვე მოეწყოს ხმამაღლა გაზეთების და ბროშურების კითხვა გაწვევის შესახებ.

4) ჯარში გაწვევის მომენტიდანვე განავითარეთ აგიტაცია პლაკატების საშვალებით, პლაკატები უნდა დასურათებული იქნეს და მოძრავი, აგრეთვე აგიტაცია უნდა ხდებოდეს ყველა თვალსაჩინო ადგილებზე ლოზუნგებისა, მოწოდებების და სხვა ასეთი ფურცლების გაკვრით.

5) გასაწვევ ადგილებზე გამოცხადების წინა დღით მოეწყოს ოედანებზე მიტინგები მოსახლეობისათვის და აგრეთვე გასაწვევ ახალგაზრდათა დემონსტრაციები წითელი დროშებით და რევოლიუციონური სიმღერებით.

გაწვეულთა მისაღებ ადგილებზე გამგზავრების წინ სასოფლო და თემთა რწმუნებულები ყველა ორგანიზაციეებთან ერთად აწყობენ საზეიმო სხდომებს, სადაც წარმოითქმის გასამგზავრებელი ხასიათის სიტყვები, სდგება ნაკაზი მშრომელი გლეხებისაგან გაწვეულთადმი, გაწვეულების ფიცი მშრომელ მოსახლეობისადმი.

მთელი ამ ორგანიზაციული მუშაობის ჩასატარებლად ადგილებზე შემდგარი არიან სამეულები, რომელშიდაც შედიან სამხედრო კომისარიატის, არმიისა და ცეკას წარმომადგენლები, რომლებიც თავის მხრივ კავშირში შედიან პოლიტგანათლების ორგანოებთან, ახკომკავშირთან, ქალთა ორგანიზაციის განყოფილებებთან, პროფკავშირისა და რკინის გზელთა პროფესიონალურ კავშირებთან. ეს კომისიები ამზადებენ მთელ საგიტაციო მასალების საჭირო რაოდენობას როგორც: საუბრის და მიტინგების ჩასატარებელი თეზისები, ფურცლებს მოსახლეობისა და გაწვეულთათვის, ლოზუნგებს, პლაკატებს, გაზეთებს, ჟურნალებს და ბროშურებს მათი ადგილებზე მოხმარების მიზნით.

იქონიებენ რა კავშირს ადგილობრივი გაზეთების რედაქციებთან კავშირს ხელს შეუწყობენ კამპანიის ჩატარებას პრესის საშვალებით.

მთელი სააგიტაციო მუშაობის ჩასატარებლად ადგილებზე საჭირო მუშაობაში ჩათრეული იქნენ კომპარტიისა, კომუჯრედებიდან და ახკომკავშირიდან სასოფლო საბჭოები და სოფლის ყველა კულტურული ძალები.

დედანს ხელს აწერს: ამიერკავკასიის რ. კ. პ. მდივნის და აგიტპროპის მოადგილე.

## ლოზუნგები.

**ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა კამპანიის ჩატარებისათვის.**

1 ყველა ჯარში გასაწვევ 1902 წ. დაბადებულნი ახალგაზრდები—წითელ ჯარის რიგებში.

2 სუყველაფერი—ს. ს. ს. რ. დასაცავად.

3 სუყველაფერი—ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად,

4 ჩვენს რიგებში დეზერტიროვბას არ აქვს ადგილი.

5 შევასრულოდ ჩვენი ბელადის და მასწავლებლის ამხ. ლენინის ანდერძი, მტკიცედ ვიდგეთ რევოლიუციის სადარაჯოზე.

6 ამიერ კავკასიის მუშებო და გლეხებო, დაიცავით თქვენი მონაპოვარნი. ბაქოს ნავთი და ჭიათურის შავი ქვა—ეს გემრიელი ლუკმაა საერთაშორისო მტაცებლურ კაპიტალისთვის.

7 გაუმარჯოს წითელ ჯარს—საერთაშორისო იმპერიალიზმის თავზარ დამცემს, მეგობარს და დამცველს მშრომელ ხალხისას!

8 გაუმარჯოს მუშების და გლეხების წითელ ჯარს!

# ახლო აღმოსავლეთში.

სირია-საფრანგეთის ავანპოსტია ახლო აღმოსავლეთში. ოტომანიის იმპერიის დანაწილების შემდეგ, სირია საფრანგეთს ხვდა წილად. თუმცა სირიაში არ მოიპოება თითქმის არავითარი ბუნებრივი სიმდიდრე, მაგრამ საფრანგეთი მას მაინც ჩაჭიდებია და ხელიდან არ უშვებს. სირიის დაკარგვით საფრანგეთი ახლო აღმოსავლეთიდან აღიგავება.

წინათ თავს იქებდა საფრანგეთის ბურჟუაზია, რომ სირია საფრანგეთის დახმარებით ძლიერდება პოლიტიკურად და ეკონომიურად. რომ იქ ყველაფერი რიგზეა. მაგრამ ჩანს რომ ასე არ ყოფილა. დღეს სირიის ფრანგული პრესა ისტერიულად გაკივის: „სირია იღუპება!" როგორ? რა ღუპავს სირიას?

უკანასკნელ ხანებში მთელ სირიას აჯანყების ალი მოედო. აჯანყებულები ებრძვიან საფრანგეთის საოკუპაციო ჯარებს. მრავალ ალაგს საფრანგეთის ჯარი სასტიკად დაამარცხეს აჯანყებულებმა. სირიის ხალხი იბრძვის დამოუკიდებლობისათვის. მას არ უნდა საფრანგეთის იმპერიალიზმის მონობა. აი ეს აშფოთებს საფრანგეთს. სირია საფრანგეთისათვის იღუპება. საფრანგეთს ეცლება ფეხქვეშ უკანასკნელი დასაყრდნობი ახლო აღმოსავლეთში.

სირიის აჯანყებულების წინააღმდეგ საფრანგეთმა აამუშავა ყოველგვარი ძალები. ავიაცია, მძიმე არტილერია, მახრჩობელი გაზები - აირით გაუმასპინძლდა ის სირიის ხალხს. მაგრამ ამან საქმეს არ უშველა. აჯანყება თან და თან ფართოვდება და საფრანგეთისათვის საშიშ ხასიათს ღებულობს. თუმცა სირიის ფრანგული პრესა იტყობინება, რომ საფრანგეთის ჯარმა შესძლო აჯანყებულების მთავარ ძალების გაფანტვა და დამორჩილებაო, მაგრამ ოსმალეთის პრესა ამტკიცებს, რომ აჯანყება არ არის ჩაქრობილი, არამედ ის სხვა რაიონებს გადაედო. საფრანგეთის პრესის ცნობა მართალიც რომ იყოს, ის მაინც არ ცვლის მდგომარეობას. განა მრავალი აჯანყებები წარსულში და ახლა არ ამტკიცებენ, რომ საფრანგეთის მდგომარეობა არ არის მტკიცე სირიაში, რომ სირიის ხალხის მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი ურყევია. სირიის ყველა მცხოვრებლები, არა მარტო არაბი მაჰმადიანები, არამედ ებრაელები, ოსმალები, ქურთები და ქრისტიანები ყველანი აღშფოთებული არიან საფრანგეთის წინააღმდეგ.

პუანკარე-მილიერანის და მათ დამქაშის სირიაში ვეიგანდის პოლიტიკამ სირია უფსკრულამდე მიიყვანა. და დღეს საფრანგეთის გაზეთები გაიძახიან: „სირია იღუპება!" საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწენი კი ერთხმად მოითხოვენ—„სირიას რეფორმები ესაჭიროება!"

არა, სირიას საფრანგეთის რეფორმები არ ესაჭიროება.

სირიის ნაციონალისტ-რევოლიუციონერებმა რამოდენიმე წლების უკან წამოაყენეს თავისი გარკვეული პოლიტიკური პროგრამა. მხოლოდ ამ პროგრამის ხორცის შესხმა ე. ი. საფრანგეთის განდევნა სირიიდან იხსნის სირიის ხალხს.

ს.



## ჩვენს დივიზიაში წასულ წითელ-არმიელთა წერილები.

ცალკე საკავშირო ასეულის უვადო შვებულებაში წასული ამხანაგები (გედევანიშვილი—დუშეთის მაზრა, მაჭარაშვილი—გორის მაზრა, ლომიძე და ყანჩაველი—შორაპნის მაზრა და სხვები) არ სწყვეტენ მაინც ასეულთან სულიერ კავშირს და იწერებიან იმედიან წერილებს, სადაც ამბობენ რომ, რაც აქ, წითელ ყაზარმაში შეიძინეს—უხვად ავრცელებენ სოფლად და ჩაბმული არიან საშენებლობითი მუშაობაში.

ისინი სიამოვნებით იგონებენ აქ გატარებულ ნეტარ დროებას და „ლენინის კუთხეში“, ბიბლიოთეკაში, კლუბში შეძენილ ცოდნას ახმარენ სოფლის გლეხობის გათვითცნობიერებას და დასძენენ, რომ თუ საჭიროება მოითხოვს მარად მზად იქნებიან კვლავ ჩადგენ წითელ არმიის რიგებში და შესწირონ სიცოცხლე მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას.

ს.

## შეჯიბრის გარშემო.

ჩვენი დივიზიის ნაწილთა სხვა და სხვა წრეების შეჯიბრი, რომელიც მოაწყო საკლუბო სექციამ და ცენტრალურ კლუბმა, როგორიცაა მაგ. დრამატიულ წრეთა, რომელშიაც შეებნენ—მეთაურთა სკოლა და პირველი ლეგიონი, შემდეგ ცალკე საკავშირო ასეული და ცხენოსანი ლეგიონი, ბოლოს დაპირისპირებული იყვნენ ცალკე მესანგრე ასეული და საარტილერიო დივიზიონი, მაგრამ ეს ერთი თვე გადის და არაფერი არ ხდება.

რაშია საქმე?

ნუთუ ასეთი სასარგებლო საქმე, როგორიცაა ჩვენი კულტურულ ფრონტზე მომზადების გამომზიურება ასე უნდა მიფუჩეჩდეს?!

საჭიროა ამის განაგრძელება და არ უნდა დარჩეს ეს „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

ამას უნდა მოჰყვეს სხვა წრეების შეჯიბრიც, რომელიც არა ერთხელ იყო გამოცხადებული და ამის მაგალითი ცალკე საკავშირო ასეულის ლიტ-წრემ მისცა, რომელმაც გამოიწვია ცხენოსან ლეგიონის ლიტ-წრე და აქამდის პასუხი არ მიუღია.

არ უნდა შეწყდეს შეჯიბრი.

სანი.

## პარტიული ცხოვრება.

10 მაისს შესდგა ქ. მ. დ. სამხედრო პარტიულ სკოლის საერთო კრება ამხ. ვოროვსკის მოგონების წლის თავზე აღსანიშნავად: კრება გახსნა კომუჯრედის მდივანმა ამხ. ბალათურიამ. დღის წესრიგში იყო ერთი საკითხი. მოხსენება ამხ. ვოროვსკის ვერაგულად მოკვლის წლის თავის შესახებ: ამ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ჰკუასელი, რომელმაც აღნიშნა ამხ. ვოროვსკის მოკვლა რუსეთიდან გაქცეულ ემიგრანტების მიერ, იმ განზრახვით, რომ ამხ. ვოროვსკის მოკვლა საბჭოთა სახელმწიფოებში გამოიწვევდა დიდ აურ-ზაურს და ამ თ ესარგებლებიათ და საბჭოთა კავშირის და სხვა სახელმწიფოთა შორის გამოეწვიათ შეიარაღებული შეტაკება. მაგრამ ასეთი ყაჩაღურ საშუალებით და ტერორით ვერაფერს გახდენ საბჭოთა ხელისუფლებასთან და მუშურ-გლეხურ სახელმწიფომ უფრო გაამტკიცა თავის მდგომარეობა. მომხსენებელი შემდეგ ეხება დღეს არსებულ დასავლეთ ბურჟუაზიას და საბჭოთა-კავშირის ურთიერთობას. მოხსენების დასასრულს გამოაქვთ შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ჰკუასელის ამხ. ვოროვსკის ვერაგულად მოკვლის ერთი წლის თავზედ ჩვენ სამხედრო პარტიული სკოლის კურსანტები და უფ შემადგენლობა უცხადებთ ზიზღს იმ ნაძირალებს, რომლების მიერ იქმნა მოკლული ამხ. ვოროვსკი და ფიცსა ვდებთ მის ცხედრის წინაშე და ვამბობთ: თქვენ მოკვდით ვერაგ მტერის ტყვიით, მაგრამ არ მომკვდარა თქვენი ხსოვნა ჩვენში და სადაც თქვენი სისხლი დაიღვარა იქ შევძლებთ ახლო მომავალში ავაფრიალოთ წითელი დროშა, რომლის სისპეტაკეს თქვენ შესწირეთ საკუთარი სიცოცხლე“.

სამხკორი: გ. ლეჟავა.

---

## რაზედ ვწერენ
### მიაქციეთ ყურადღება.

საბჭოთა აღმშენებლობა ყველა დარგში სწორ კალაპოტში დგება.

პოლიტიკურ ფრონტზე გამარჯვებული იმარჯვებს სამეურნეო და კულტურულ ფრონტზეც, მაგრამ სანიტარიის მხრით ცოტა ვერაა კარგად დაყენებული საქმე.

ზაფხული დგება, მოსალოდნელია ეპიდემია და როგორც მტკვრის ზოგიერთი ნაპირი, (მაგ. ვერის ვორონცოვკის, მუხრანის ხიდებთან) მუდმივი ანტისანიტარული მდგომარეობაა. ასეთივე სურათებია ქალაქის ზოგიერთა განაპირა უბნებში, რასაც უნდა მიექცეს სწრაფი ყურადღება, და რაც ყველაზე საშიშია, უფრო ჩვენთვის, წითელ არმიელებისათვის, —ესაა გადამდები, ვენერიული სნეულებანი, რომელსაც ავრცელებენ ჯერ კიდევ ბლომად დარჩენილი ქუჩაში მოხეტიალე ქალები, რომელნიც უფრო ეტანებიან წითელ არმიელებს, და ითრევენ თავის წუმპეში ჯერ ქალაქის ზოგიერთ საშინელებებს გაუცნობელ ჩვენ სოფლელ ამხანაგებს.

ასეთი ბუდეები, სადაც იყრიან თავს სენის გამავრცელებელნი—უნდა გაიწმინდოს მათგან.

პირველ რიგში სდგას ყოფილი „ალექსანდრეს ბაღი“, ქალაქის შუაგულში, სადაც შრომის შემდეგ ისვენებენ მუშა-მოსამსახურენი, სადაც თავს იყრიან ბავშვები, ახალგაზრდა კომკავშირელნი, ხშირად იმართება თამაშობები: ფეხბურთი და სხვა და სადაც ჩვენი მოლოშქრენიც ხშირად დაიარებიან. აქაა ბუდე ასეთ ქალების, სადაც პატიოსან მოქალაქეს ვერ გაუვლია და ვერ დაუსვენია მათ შემყურეს.

მიაქციეთ ყურადღება.

ხ—ნ.

## •ჰუმანარა•
### პუანკარე ფინიშ!

„პუანკარე დამარცხდა—საფრანგეთის საპარლამენტო არჩევნებში მემარცხენეებმა გაიმარჯვეს“.

დეპეშებიდან.

1.

მსოფლიო სულთამხუთავს
უკვე ბოლო ელება,
რომელმაც, ბევრი მხარე
მშრომელთ სისხლით შეღება;

—

ევროპაში სურდა მას
პირველობა მიეღო,
მაგრამ ისტორიისგან
თავის ხვედრი მიეზლო!

—

სხვის დარჩობას ლამობდა—
მარცხს კი თვით გადაეგო;
და აწი, სამუდამოდ,
სალრჩობელა აეგო!

—

ფინიშ, ო, პუანკარე
რაიმონდო მუსიე,—
მაშ რა გეგონა ყველას
ჯარი რომ შეუსიე?!

—

ვიცით შენ წახვალ და სხვა
მოვლენ კვლავ შენი ძმანი,
მაგრამ მათზეც, შეტევად,
მუდამ ვიქნებით მზანი!

—

ვიდრე არ გაიმარჯვებს
მანდ, მუშის რკინის ხელი—
ბურჟუებისთვის, ო, მზად
გვექნება ტყვია ცხელი!..

დაშნა.

---

## დეზერტიროვის მსხვერპლი.

(გაგრძელება)

ბიჭტორ კვინიხიძეს, რა თქმა უნდა არ უნდა დაუჯეროთ, რადგანაც თავისი უძირო მუცლის ამოსავსებათ ვის არ შეაქებდა, მაგრამ მე კი გეტყვით, რომ იაგორა შავიძის ქალი ოლღა, მართლა რომ ქების ღირსი იყო: შავ-თვალ წარბა ვაჟკაცური მოყვანილობა, ქალური სიბნზე, გემრიელი ღიმილი, ბროლივით თეთრი კბილები, მაყვალივით შავი, ორ ნაწნავათ დაწნული თმა, მარმარილოს ქვასავით გამოკვანთულ ბროლივით თეთრი გულ-მკერდი და ზედ აბურცვილი კოკორი ძუძუები ვის არ აუტოკებდა გულს; ტყუილა კი არ ამბობდენ ოლღას შესახებ მეზობელი ქალები „კალმით ჩამოხმული ნახატიაო“. მაგრამ განსაკუთრებით მომხიბვლელი იყო ოლღა, როცა მას ჩაფით მხარზე წინ ვინმე შეხვდებოდა: ჯერ ტანი მის და უნებურათ ალვის ხესავით შეირხეოდა, შემდეგ ჩუმი სიმორცხვისაგან ლოყები ატმის ყვავილივით წითლად აენთებოდა, ბოლოს იდუმალურად თვალებს ძირს დახრიდა და განაგრძობდა ნელის ნაბიჯით გზას, თითქოს გამვლელი არც კი შეემჩნიოს.

გარეგნობასთან ერთად ოლღას ჭკუა-გონებაც ხელს უწყობდა: იაგორას ოჯახში ყველაზე უმცროსი ის იყო. მაგრამ მის დაუკითხავად ერთ ქოთან ფქვილსაც არ გაასესხებდენ; სოფლის ორ-კლასიანი სასწავლებელი ქონდა გათავებული, მაგრამ მიბრძანებულიყავით მასთან და დაგეწყოთ მსჯელობა ზოგიერთო საშუალო სასწავლებელში კურს დამთავრებულო ქალბატონებო! რა თემაზე გინდოდათ დაგეწყოთ ლაპარაკი ოლღასთან, რომ მას ყველა კითხვებზე სწორი პასუხი არ გაეცა.

რა საჭიროა ბევრი სწავლა მისთვის, რომელიც ბუნებას თვითონვე დაუჯილდოვებია, რომელშიაც ღვთის ღვთაებრივი ცეცხლი წინმსვლელობის.

სწორედ ასეთი იყო ოლღა, მიტომ მიაჩნდათ ჩვენში ის ნასწავლ ქალად, მიტომ ამოირჩიეს ის ქალთა ბიუროს თავმჯდომარედ, სადაც ის დაუღალავად ეწეოდა შრომას. აწყობდა სისტემატიურად კრებებს. უკითხავდა ბიუროს წევრ ქალებს ჟურნალ-გაზეთებს და სხვა და სხვა შინაარსის პოლიტიკურ წიგნებს; ერთხელ ჩვენი სოფლის საერთო მიტინგეზედაც ისეთი სიტყვა სთქვა მომენტის შესახებ, რომ სიტყვის გათავების შემდეგაც დიდხანს ვიდექით პირ-დაფჩენილები.—სწორედ ამ კრებაზე იყო, რომ მიხოს ოლღას სიყვარული ლოდივით დაეცა. ამის შემდეგ დაკარგა მან სულიერი სიმშვიდე: მიდიოდა მოდიოდა, მუშაობდა სძინავდა თუ ღვიძავდა მიხას მაინც სულ თვალ-წინ ედგა ოლღა; მაგრამ ყველაზე უფრო ის აწუხებდა მიხას, რომ ამ საიდუმლოების გამხელა ჯერ ოლღასთვის ვერ მოეხერხებია.

— რა ვქნა, ვის უთხრა ჩემი გაჭირვება, ვინ დამეხმარება, ვინ გამიკეთებს საქმეს ოლღასთანო, ფიქრობდა გულ-შეწუხებული მიხა, მაგრამ ხსნა მაინც არსაიდან სჩანდა,

ხშირათ ასეთი აზრიც გაუვლიდა თავში:

— თვალ-ტანად, მგონია, ვერ დამიწუნოს, მაგრამ ის, რომ ნასწავლია და მე წიგნის არაფერი გამეგება ამას რა უყოო!?

შეხედულობით მიხა მართლა არ იყო დასაწუნი: ლამაზი, შავგრემანი პირისახე, ჰკვიანად მეტყველი თვალები, ხუჭუჭა თმა, დაკვირვებული სიტყვა-პასუხი, მაღალი ტანი, ფართო მხარ-ბეჭი, საქმეში მხნე და გამრჯელი.

ასეთი კაი ბიჭისათვის ან ოლღას რა წუნი უნდა დაედო!

მიხა თავის დარდს ოლღაზე მხოლოდ იმითი იკლავდა, რომ ხშირად მიდი-მოდიოდა იაგორას სახლის ახლო მდებარე შარა-გზით; ამოეფარებოდა ხეს და დიდხანს, ძალიან დიდხანს, ოფლში გაწურული სუნთქვა შეკრული უყურებდა ეზოში მოსაქმე ოლღას.

გამვლელ-გამომვლელი მიხას მეზობელი ახალგაზრდა ბიჭები ასეთ მდგომარეობაში რომ დაინახავდნენ მას, ერთს გაიღიმებოდნენ, განგებ აავლებდენ თვალს და გაივლიდნენ.

— ვინ იცის სანამდის გაგრძელდებოდა მიხას ასეთი ტანჯვა, რომ ერთ საღამოს, დაბინდებისას ყანიდან მომავალ მიხას წინ ოლღა არ შეფეთოდა; ქალმა მორცხვად თავი ძირს ჩაღუნა, რაღაც ძალამ შეაპყრო და ფეხის გადადგმა ველარ მოახერხა წინ; მიხას კი ენა ჩაუვარდა, გაშეშდა, მაგრად ჩაკიდა ოლღას ხელი გადიყვანა გზიდან და იქვე ბუჩქს მოაფარა. ორივე დიდხანს იდგნენ გაქვავებულნი. რამოდენიმეჯერ დააპირა მიხამ რაღაცას თქმა, მაგრამ ვერ მოახერხა, ენა არ ემორჩილებოდა; მაგრამ რომელ მჭერმეტყველ შეყვარებულს შეეძლო ეთქვა გულში ნადები თავის სატრფოსთვის ისე ძლიერად, როგორც ამას ეუბნებოდა ოლღას მიხას მაგრად ჩაკიდებული ხელი.

დაბინდდა. დედა-მიწა ღამის რკალმა შეიპყრო. ბებერმა მთვარემ მედიდურად ამოანათა. ნელი სიო აცელქავებდა ოლღას სახეზე უსწორმასწორად ჩამოშვებულ თითო ოროლა ღერ თმას...

უცბად ოლღა გონს მოვიდა, მიხას ხელი წაართვა, თმები გაისწორა და ბრძანების კილოთი შესძახა:

— გამიშვი, დალამდა, ჩვენები იჯავრებენ.

(გაგრძელება იქნება)

გრ. სლავისონიშვილი.

---

— **მიწერილობა ეკლესიებს.** ქალ. აღმასკომმა წინადადება მისცა კუკიისა და სომხების ეკლესიებს დაუყონებლივ შემოიტანონ პირველმა 270 მან. და მეორემ 1000 მანეთი, იმ ნივთების ასანაზღაურებლათ, რომელნიც ამ ეკლესიებიდან დაიკარგნენ.

— **ბაღის გადაცემა.** ქალ. აღმასკომმა ორთაჭალაში მდებარე მირზოევისებული ბაღი გადასცა განათლების განყოფილებას საბავშო ბაღის მოსაწყობათ.

— **ლოთობისათვის შეპყრობა.** ქალ. აღმასკომმა გადასწყვიტა მილიციის უფროსის მოხსენების თანახმათ მოქ. ევგენი მალოევი სისტემატიურ ლოთობისათვის და ქუჩებში უწესოებისათვის დააპატიმროს ორი თვით.

— **ჯარიდან განთავისუფლებზე.** საქ. ცაკის დადგენილებით ის პირები რომელნიც ჯარიდან დაბრუნებისას, ხელს მოჰკიდებენ სასოფლო მეურნეობას, განთავისუფლებულ იქნებიან გადასახადებისაგან ერთი წლით.

— **სამხედრო მაგიდები.** საქ. ცაკის დადგენილებით, მაზრებში სამხედრო მაგიდებს საერთო გამგებლობა ეკისრება რაიონულ აღმასკომების თავმჯდომარეებს, ხოლო ქალაქებში სამილიციო რაიონის უფროსებს.

— **საბჭოთა კონსტიტუცია.** საბჭოთა კონსტიტუციის განსაიდველ კომისიაში დაინიშნა, ამიერ კავკასიიდან ამხ. შ. ელიავა.

— **დამხმარე კომიტეტი.** საქ. ცაკმა გადასწყვიტა მოაწყოს ავათმყოფ, დაჭრილ და ომის ინვალიდთა სრ. საქართ. დამხმარე საზოგადოება.

— **შრომის ბირჟაში.** შრომის ბირჟაში ამჟამათ ამუშავებენ გეგმებს, რითაც დასაქირავებელი უმუშევრები ექნებათ ამოირჩიონ მარიგ უმუშევარებში და ისე აიყვანონ სამსახურზე.

— **სამუშაოზე გაგზავნა.** 15 მაისს შრ. ბირჟამ სამუშაოზე გაგზავნა 57 უმუშევარი. ახლათ ჩაეწერა 90 კაცი.

**პროვინციის ამბები.**

— **ტეხნიკუმის აშენება აბაშაში.** აბაშაში ტეხნიკუმის შენობას ასაგებათ შემდგარია ხარჯთაღრიცხვა 8.800 მან. რაოდენობით.

## ხელოვნება

**— სტალინის სახელ. კლუბი.** ქალ, აღმასკომმა სტალინის სახელობის კლუბის მოსაწყობათ გადასდო 500 მანეთი.

**— სახალხო სახლში.** მომავალი სეზონიდან სახ. სახლში არსებულმა ქართულმა დასმა თავისი მოქმედება უნდა შეუთანხმოს პროლეტკულტის საქმიანობას.

**— ვერის მუშათა კლუბი-** ვერის მუშათა კლუბს გადაეცა იქვემდებარე ბაღი უსასყიდლოთ და საექსპლოატაციოთ.

**— მუშათა სახახლე ფოთში.** ფოთის ნავთსადგურში გაიხსნა მუშათა სახახლე-თეატრი.

## საექსკურსიო მეთოდი.

თუ ჩვენ გვინდა შევაფასოთ ესა თუ ის მეთოდი, საჭიროა გამოვიკველიოთ ფსიქოლოგიური და პედაგოგიური საფუძვლები, რომლებზედაც არის ის დამყარებული. საექსკურსიო მეთოდი, განხილული ამ მხრივ, იჩენს ნიშნებს, რომელიც გვაძლევს საბუთს ჩავთვალოთ ის მეთოდათ, რომელიც აკმაყოფილებს ფსიქოლოგიის და პედაგოგიკის მოთხოვნილებებს. უნდა აღინიშნოს, რომ უპირველეს ყოვლისა, ექსკურსია არის უმაღლესი ფორმა თვალსაჩინოებისა. თვალ-საჩინოებას დიდი ადგილი უკავია შრომის სკოლებში. მაგრამ ხშირად ეს თვალსაჩინოება განისაზღვრება იმით, რომ მოდელი, ან ჯადოსანი ფანარი, რომლითაც აჩვენებენ ამა თუ იმ საგნის გამოხატულებას, ან ბუნების მოვლენას ვერ ახდენს ისეთ შთაბეჭდილებას, როგორც თვით რეალური საგანი და თვით ბუნების მოვლენების დაკვირვება ბუნებაში.

საუკეთესო თვალსაჩინოების საგნები ინახებიან პედაგოგიურ კაბინეტსა და მუზეუმებში, რომელნიც საქართველოში ძლიერ ცოტა გვაქვს უსახსრობის გამო. თუ ჩვენ მოვინდომებთ შევქმნათ დივიზიაში ასეთი კაბინეთი და მუზეუმი, ეს იქნება ყოვლად შეუძლებელი, რადგან მას დასჭირდება დიდი თანხა. საერთოდ მუზეუმი და კაბინეთი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ის გამოხატავდეს ტეხნიკის, მეცნიერების და საზოგადოების თანამედროვე სწრაფ განვითარებას.

წითელ არმიელის სკოლამ, რომელიც ძლიერ ღარიბია, უნდა ამოირჩიოს თვალსაჩინოების უმაღლესი ფორმა, რომელსაც ვაღწევთ ექსკურსიების საშუალებით, როდესაც შეგრძნება ხდება არა მარტო სმენით არამედ მოტორიული გრძნობებითაც. შეგრძნება შეერთებული მოტორულ-მოძრაობითი გრძნობებთან, იწვევს უდიდეს აქტივობას რაც არ შეუძლია გამოიწვიოს კლასიურ სისტემას. სწორედ აქტივობა არის დიდი ღირსება საექსკურსიო მეთოდისა და ჩვენც შეგვიძლია ავიყვანოთ ის მაქსიმუმამდე.

ძველ პედაგოგიურ ნაწარმოებებიდან ამოკრებილია საუკეთესო რაც კი მასში იყო, და სხვათა შორის, საექსკურსიო მეთოდიც, რომელსაც აქვს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა განვითარების საუკეთესო საშუალებაა. სარგებლობს რა თავისი კანონიერ უფლებებით, საექსკურსიო მეთოდი იჭრება თითქმის ყველა კულტურულ-განმანათლებელ დარგში; ამავე დროს მიდის დიდი მუშაობა ამ მეთოდის გაუმჯობესებისათვის; უფრო უკეთესად რომ ვსთქვად მისი ფართოთ გამოყენებისათვის. შედეგათ ის მივიღეთ, რომ ახლა გვაქვს საკმაო ლიტერატურა ექსკურსიის მეთოდის შესახებ, რომელიც არ ჩამოურჩება ამ დარგში ომამდე არსებულ ლიტერატურას.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ლიტერატურა ვერ აკმაყოფილებს ახლანდელ მოთხოვნილებებს. უმეტეს ნაწილად ეს ლიტერატურა საერთო ხასიათის არის და სრულებით მიუღებელია მოზრდილთა სკოლისათვის. ამავე დროს ექსკურსიების მოთხოვნილება და სურვილი დიდათ იზრდება, ეწყობა ხშირი ექსკურსიები, მაგრამ სისწორით და დამტკიცებით უნდა ითქვას, რომ უშედეგოა ექსკურსია, თუ მას არა აქვს განსაზღვრული აზრი ე. ი. განსაზღვრული გეგმა, თუ რა უნდა გააკეთონ ექსკურსანტებმა, ან რა უნდა დაათვალიერონ. ექსკურსიას აუცილებრივ უნდა ქონდეს კავშირი სასკოლო მეცადინეობასთან.

ექსკურსიას არასოდეს არ უნდა ჰქონდეს შემთხვევითი ხასიათი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სრულიად უშედეგო და უნაყოფო იქნება. ჩვენ ვიცით, რომ მიზანი და ამოცანა წითელ არმიელის სკოლისა არის მხედრის კულტურული დონის ამაღლება და მისი მსოფლ-მხედველობის გაფართოება, რაც ნაწილობრივ იღწევა ექსკურსიების საშუალებით, აგრეთვე დიდ დახმარებას გვიწევს ექსკურსიები იმ მასალის გავლაში, რომელიც არის ჩვენ პროგრამებში ნაჩვენები. მაგალითად: გეოგრაფია და ბუნების მეტყველებაში, როდესაც ექსკურსიის შემდეგ ირჩევა კლასში დახული მასალა, წითელ არმიელებისათვის სრულიად აშკარაა იგი და გაუგებარი მათთვის აღარაფერი რჩება, ვინაიდან ყველაფერი თვალსაჩინოთ აქვთ წარმოდგენილი.

(დასასრული შემდეგ №-ში)

მერაბიშვილი.

## აღზრდის საჭიროება მშვიდობიან დროს.

ქიმიური ომი თავის თვისებებით მეტად ულმობელია. ამ გვარი მისი თვისება განსაკუთრებულ ფსიხიკას ჰქმნის მეომართა შორის, უძლურება და სასოწარკვეთილება იყო უმთავრესი განცდა ქიმიურ ომის პირველ ხანაში. შემდეგში, გამონახეს რა შხამიან აირთა საწინააღმდეგო საშუალებანი, ამ გვარ განცდას უკვე აღარ ჰქონია მწვავე ხასიათი. გამოცდილებამ მებრძოლს დაანახვა საზღვარი შხამიან აირის მავნებლობის. ამისთვის საჭიროებას წარმოადგენდა, რომ მებრძოლს ჯერ კიდევ მშვიდობიან, სასწავლო ხანაში ევარჯიშნა აირიან ატმოსფერაში თავის დაკავება და თავის მოვალეობათა შესრულება. ამ გვარი საშუალებით და აღზრდით მებრძოლში მუშავდება მტკიცე სული, რაც ხელს უწყობს მას იმყოფებოდეს ურყევლად ცეცხლის მოწინავე ხაზზედ. მებრძოლს აირისა რომ არ ეშინოდეს საჭიროა მას ძვალში და რბილში ჰქონდეს გამჯდარი, რომ აირის მავნებლობა განსაზღვრულ ფარგლებშია მოთავსებული. ამ გვარი შეხედულება მასში ჰქმნის სულის სიმტკიცეს და სრულ სიმშვიდეს, დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობიან დროს ქიმიკურ ნივთიერების მოხმარების შესწავლას. ქარხანაში მომუშავე ქიმიკოსებს საქმე აქვთ ისეთ ქიმიურ შეზავებასთან, რომელთა ძალაზედ წარმოდგენა არა აქვთ და არ იციან ამ შეზავებათა აფეთქების პირობანი. მხოლოდ მათ იციან კარგად როგორ უნდა მოიქცენ ამ გვარ შემთხვევაში და იგინი მშვიდობიანათ აწარმოებენ თავიანთ შრომას.

ამ ჟამად მეომარი იღებს განსაკუთრებულ მომზადებას აირის საწინააღმდეგო ნიღბების ხმარების დახელოვნებაში. უპირველესათ ყოვლისა მეომარი უნდა ვარჯიშობით იმდენათ გაიწვრთნას ნიღბის წამოცმაში, რომ იგი უნდა ავტომატიურად, როგორც სიზმარში, მოქმედობდეს და საჭირო დროს მარტივი ილეთებით თავის თავს უბედურებისაგან უზრუნველ-ჰყოფდეს.

ინგლისელები დიდ მნიშვნელობას მიაწერდენ მოკლე ვადაში ნიღბის წამოცმის დახელოვნებას, რისთვისაც ოფიციალად 6 წუთი ჰქონდათ დაწესებული განგაშის მიცემის დროიდან. მხოლოდ ეს წესი ცხოვრებამ უარჰყო, ვინაიდან ამ გვარი სისწრაფე მეტად მავნებელი აღმოჩნდა. იგი აღელვებდა მეომრებს, რომელნიც ამის გამო კარგად ვერ იკეთებდენ ნიღაბს და მრავალ უბედურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. ვინაიდან ადამიანს ძალდაუტანებლივ შეუძლია შეიკუმშოს სული 20 წამის განმავლობაში, ნიღაბის წარმოსაცმელად ს ჩქარე საჭიროებას არ წარმოადგენს.

გ. ბ—შვილი.

## სასოფლო მეურნეობა.

### ხელოვნურად წიწილების გამოჩეკა.

საერთოდ, ჩვენს სოფლის მეურნეობაში მიღებულია წიწილების გამოჩეკა ბუნებრივი საშვალებით. კვერცხს აჯენენ დედალს. ხშირად ხდება, რომ ადრიანად გაზაფხულზე დედალი არ აჯდება კვერცხს და ძალაუნებურად სოფლის მეურნე იძულებული ხდება წიწილები გამოაჩეკიოს დაგვიანებით, რაც არ არის სასურველი, რადგან, ერთის მხრივ ასე დაგვიანებულად გამოჩეკილი წიწილები შემოდგომისათვის ვერ ასწრებენ განვითარებას, როგორც საჭიროა, და მეორე მხრივ დედალს ვერ დაუდებთ ოჯახში დაგროვილ ყველა კვერცხების რიცხვს, რადგან დედალს შეუძლია მხოლოდ დააჯდეს 13-15 კვერცხს, ინდაურს 27-27, ბატს 4-5 იხვს 17-25.

ჩვენ ვიცით, რომ გაზაფხულზე საერთოდ ოჯახში გროვდება აუარებელი კვერცხი; მეურნესათვის ხელსაყრელი და მისაგებია გაყიდოს წიწილები ან ქათმები, ვინემ კვერცხები.

ამისათვის არის საშუალება, რომლის დახმარებით შეიძლება წიწილების გამოჩეკა უდედლოთ. ასეთ საშუალებას ეწოდება სახელად „ინკუბაცია“, რაც ყურადღების ღირსია.

წიწილის გამოსაჩეკად, როგორც ვიცით საჭიროა, რომ კვერცხებს დედალი უნდა აჯდეს 21-22 დღეს, სითბო, რომელიც საჭიროა წიწილის გამოსაჩეკად არ აღემატება 32 გრადუსს რეომიურით და 40 გრადუსს ცელსიით.

აქედან აშკარაა, რომ იმ სითბოს რასაც დედალი იძლევა, თუ სხვა საშუალებით მიიღებთ სჩანს, წიწილი გამოიჩეკება.

ხელოვნურად გამოჩეკილი წიწილები, ისე იზრდებიან, ვითარდებიან და მრავლდებიან, როგორც ბუნებრივი.

წიწილების ხელოვნურად გამოჩეკი აპარატი ღირს 35 მანეთი კვერცხისათვის.

X

## მედიცინა და ჰიგიენა

### ტუბერკულიოზი (ჭლექი) და მასთან ბრძოლა.

წელს საბჭოთა ხელისუფლების დროს მესამედ ტარდება ჭლექის წინააღმდეგ გამართული სამ დღეული. ვინ არ იცის თუ რა საშინელი სენია ჭლექი. განსაკუთრებით დიდი ზიანი მოაქვს ამ ავადმყოფობას მშრომელთა მასებში, რადგან ჭლექი სწორედ იქ იკიდებს ფეხს, სადაც დაცული არაა სისუფთავე და საზოგადოთ ცხოვრების ნორმალური პირობები. ბურჟუაზია ამ სენს პროლეტარიატის-მუშათა კლასის თანამგზავრ ავადმყოფობას უწოდებს და ამ მხრივ ეს მართალიცაა. ბურჟუაზიისა და კაპიტალისტებისაგან მუშათა კლასისთვის შექმნილი დუხჭირი ცხოვრების პირობები მშრომელთა მოუცილებელ სტუმრად ხდის მას. საბჭოთა ხელის უფლება დიდ ყურადღებას აქცევს ამ გარემოებას და წელს მესამედ იმართება ჭლექის საწინააღმდეგო ბრძოლის კვირეული. შარშან ეს კვირეული ჩატარებულ იქნა ბავშვების ამ საშინელი სენისაგან გამოჯანმრთელების ლოზუნგების ქვეშ. ეს მეტად საყურადღებო მოვლენა იყო რადგან, ყოველ კეთილ წამოწყებას საფუძვლის სიმაგრე უნდა ახასიათებდეს და ბავშვების ამ სენისაგან დაცვა პირველი საშვალება კაცობრიობის ჭლექისაგან გამოჯანმრთელებისათვის. წრევანდელი სამდღეული ტარდება ჭლექისაგან შრომის ასაკის ლოზუნგების ქვეშ.

აქაც საბჭოთა ხელისუფლება სხვა და სხვა რაციონალური საშვალებების გამონახვით მიზანში ურტყამს კაცობრიობის ამ მოუცილებელ ჭი... ამიტომ არის საჭირო თითეუ... მშრომელმა, თითეულმა საბჭო... რესპუბლიკის მოქალაქემ იცო... თუ როგორ ჩნდება ეს სენი, რ... მას გვერდი აუაროს და მეორე ... რივ თუ როგორია მისი განვითარ... ბის საფეხურები, რომ სათანადო ზ... მები იქნეს მიღებული მის წინ... ღმდეგ და ამნაირად ყოველგვა... დახმარება აღმოეჩინოს ჭლექის წინააღმდეგოთ მებრძოლ ორგან... ებს. პირველად ყოვლისა თუ ტ... ბერკულიოზი აღმოაჩნდება ვინ... აუცილებლად გამორკვეული უნ... იქნეს რომელ საფეხურს ეკუთვნის ... საერთოდ ჭლექით ავადმყო... შემდეგ ნაირად იყოფიან.

1) ჯანმრთელი ტუბერკულიო... ანი-რომელთაც აქვთ ოდნავი ცვ... ლებები ტუბერკულიოზის. 2) ... მელთაც უკვე გადაუტანიათ ავა... მყოფობა 3) უკვე ნიშნებია ტ... ბერკულიოზის და ავადმყოფობა ... ტიურია. 4) გარკვეული აქტიუ... ტუბერკულიოზით. საზოგადოთ ტ... ბერკულიოზიანმა აუცილებლად ... რგ სპეციალისტს და ამ საქმეში ... ხელოვნებულ ექიმებს უნდა შეამ... წმებიოს თავი და გამოარკვიოს ... ნი ჩაკდომის გზაზე დამდგარი ... განვითარებაში მიდის. ხშირად ხდება ავადმყოფობის სწორი შემო... მება და ამნაირად ვდგებით დაუ... ვებელი შეცდომების წინაშე. ეს საბჭოთა ხელისუფლების დროს, რ... დესაც ასე ღირებულია სახელმ... ფოსათვის მშრომელი მასების ... თილდღეობა პირდაპირ დაუშვე... ლია.

მეიხ.

## განცხადება.

ორშაბათს 19 მაისს გარნიზონის საგაზაფხულო კლუბში (პლ... პროსპ. ყოფ. „ვერჩერნიე ზორი-ს ბაღში) საღამოს 6 საათზე იქმნ... გაგრძელება კამათისა 1-ლ ლეგიონის კლუბის უფროსის ამხ. **სიხარ... ლიძის** მოხსენების გარშემო.

სასურველია კამათს დაესწროს ყველა კლუბის მუშაკნი და და... ტერესებულნი ამ საკითხით უფ და პოლიტ შემადგენლობა.

მოხსენებამ და კამათმა მრავალი საგულისხმიერო პრინციპიალუ... შეხედულებანი გამოააშკარავა საკლუბო მუშაობის ირგვლივ.

საკლუბო განყოფილება.

## კლუბის მუშაკთა საყურადღებოთ.

17 მაისს დღის 12 საათზე ქართულ დივიზიის ცენტრალურ კლ... ბში შესდგება მორიგი საგარნიზონო თათბირი.

კლუბის მუშაკთა დასწრება სავალდებულოა.

**დღის წესრიგი:**

1902 წ. დაბადებულთა შორის წინასწარი კომპანიის ჩატარება.

**დაკარგე** სააღრიცხვო ბარათი № 1123 მოცემული მ... კომისარიატის სამხედრო მაგიდისაგან, ჩაით... ლოს გაუქმებულად. მახარაშვილი ვასილი გიორგის-ძე.